პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №5

თბილისი **05.09.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
საბა სარიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,საბჭოს სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
მარიკა შიოშვილი – რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერის პროექტის (UNDP) მენეჯერი;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
თამარ მახარაშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
კახაბერ ერაძე - „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ მენეჯერი;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

გიორგი გოგიტიძე - სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორი;
მაია თოიძე - სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის მოადგილე;
დავით მჭედლიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორი;
დარეჯან ფიფია - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ დირექტორი;
თეონა ქუთელია - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ დირექტორის მოადგილე;
თინათინ ლოსაბერიძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორი;
დარეჯან ლოსაბერიძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის მოადგილე.
ბელა ავალიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორი.
ნოდარ ხარაზიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
მანანა ნიაზაშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხარისხის მართვის მენეჯერი.
თეიმურაზ ლორთქიფანიძე - სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
ნინო გულბანი - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგნელი.
რამაზ გაგოშაშვილი - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორი.

სხვა დამსწრე პირები:

დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

მადონა გოგობერიშვილი;
პეტრე ბაბილუა;
ეკატერინე გიგაშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
ნანა შარაბიძე;
ელენე გვენცაძე;
მარინა გოგოლაძე;
დარეჯან ლოსაბერიძე;
ქეთევან ჯანელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:55 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ორტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ლაკადასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საზპგადოებრივ კოლეჯ "იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
8. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ექსპერტი ელენე გვენცაძე სხდომის ბოლოსთვის მოახერხებდა მოსვლას, შესაბამისად . სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის“ საკითხის განხილვა მომხდარიყო მე-7 საკითხად. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი განახლებული სახით.

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ლაკადასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
8. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

1.სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, მადონა გოგობერიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და დოკუმენტაცია შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნა პოზიტიური იყო, რადგან ზემოაღნიშნული დაწესებულება არსებულ პროგრამებს ახორციელებდა სტანდარტული პროგრამების სახით. 2015 წლის თვითშეფასების ანგარიშით სსიპ-პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსიმ" წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბართენდერი	III	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია(112067)	70
2	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	III	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია(040165)	76

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. მოდულურ პროგრამებში განსაზღვრული იყო მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მადონა გოგობერიშვილის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო ემთხვეოდა მოდულურ ჩარჩოს, პროგრამებში განსაზღვრული იყო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული კვალიფიკაციის დონე, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, მიზნები, მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები.

პროგრამის ჩარჩოების შესაბამისად შემუშავებული იყო ყველა ზოგადი და პროფესიული მოდული, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით პროგრამასთან ერთად და თან ერთვოდა შესაბამის პროგრამას დანართების სახით.

პროგრამების ხანგრძლივობა გათვლილი იყო კვირების მიხედვით. სასწავლო გეგმები წარმოდგენილი იყო დანართების სახით. სასწავლო გეგმები იძლეოდა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული იყო მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის კვირეული დატვირთვა შეადგენდა მინიმუმ 30 და მაქსიმუმ 40 საათს (დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოდულების საფუძველზე კოლეჯის მიერ მოდულების ადაპტირების პროცესში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. ექსპერტის განცხადებით, ორივე პროგრამაში პოზიტიურ სურათს ქმნიდა ის, რომ როგორც ძირითადი ისე არჩევითი მოდულები აღებული იყო ბაზიდან.

საათების განაწილების სქემა და სასწავლო თემატიკა არ შეცვლილა, მხოლოდ რამდენიმე მოდულში დაემატა სწავლების მეთოდი.

1. „ვებ ინტერფეისის დეველოპერის" პროგრამის არჩევით მოდულებად კოლეჯმა შეარჩია შემდეგი მოდულები:

1. ,,კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია"- 5 კრედიტი (სარეგისტრაციო №0610104);
2.,, Microsoft Windows ოპერაციული სისტემის ინსტალაცია - კონფიგურირება"- 5კრედიტი (სარეგისტრაციო №0610104);
3. ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები 2" - 2 კრედიტი (სარეგისტრაციო №0610413),
4. ,,რუსული ენა" - 4 კრედიტი (სარეგისტრაციო №0230101);

არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობამ (16 კრედიტი) 1 კრედიტით გაზარდა პროგრამის საერთო მოცულობა.

„ბართენდერის" პროგრამის არჩევითი მოდულები შეირჩა ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, მხოლოდ დაემატა ერთი არჩევითი მოდული „თურქული ენა„ - 4 კრედიტი (სარეგისტრაციო №0230101).

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1.სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსის" საკუთრებაში არის ორი შენობა ნაგებობა, ერთი საერთო ფართით **2071,99 კვ.მ,** ხოლო მეორე შენობა ნაგებობა საერთო ფართით **2377, 60 კვ. მ.**

ამასთან დაწესებულება აპირებს განახორციელოს მოდულური პროგრამები მისამართზე ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84	**2071,99** კვ.მ,
2	ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №61	2377, 60 კვ. მ.

ექსპერტის თქმით, დ.თავდადებულის ქ. №61 მისამართზე არსებულ დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა კოლეჯი აღნიშნულ პროგრამებს განახორციელებდა ლერმონტოვის ქ. №84 მისამართზე არსებულ შენობაში, კოლეჯს ჰქონდა ბართენდერისა და ვებ–ინტერფეისის დეველოპერის პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. სტანდარტის შესაბამისად, დაკმაყოფილებული იყო A, B და C გარემოს მოდელების მოთხოვნები. კერძოდ დაწესებულებას ჰქონდა A-ტიპის ორი ოთახი: N 27 (48,4 კვ.მ) და N 22 (32,4 კვ.მ), B-ტიპის ერთ ოთახი: N 28 (50,35 კვ.მ) და C-ტიპის ორი ოთახი: N 29 (49 კვ. მ), N 2 (102,95 კვ. მ). მოდულებში აღწერილი ტექნიკური აღჭურვილობა სრულად მოიცავდა ზოგად და პროფესიულ მოდულებში მოთხოვნილ მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას. ექსპეტის თქმით, ვიზუალური

დათვალიერებით დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობები ძირითადად შეესაბამებოდა ოთახებში რეალურად არსებულ აღჭურვილობას და ინვენტარს იმ გამონაკლისის გარდა რაც დაწესებულებას უნდა შეესყიდა და ნაწილს ელოდება სსიპ „საგანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-დან.

საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები/ მემორანდუმები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკა სრულად უზრუნველყოფდა პროგრამების მოთხოვნებს.

3.ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1. კოლეჯის ადმინისტრაციაში დასაქმებულია 18 პირი. დამხმარე და მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს – 10. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. ბართენდერისა და ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროგრამებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა დამაბნეველი იყო მატერიალურ რესურსთან მიმართებით, მან მოიყვანა ციტატა ექსპერტის დასკვნიდან: „მოდულებში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობები ძირითადად შეესაბამებოდა ოთახებში რეალურად არსებულ აღჭურვილობას და ინვენტარს იმ გამონაკლისის გარდა რაც დაწესებულებას უნდა შეესყიდა და ნაწილს ელოდებოდა სსიპ „საგანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან". საბჭოს თავმჯდომარის თქმით აღნიშნული ჩანაწერი ურთიერთგამომრიცხავი იყო. მან ექსპერტს სთხოვა განმარტება კონკრეტულად რა ტიპის აღჭურვილობაზე იყო საუბარი.

ექსპერტის თქმით ბართენდერის პროგრამა სრულად იყო აღჭურვილი.

ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროგრამას აკლდა მხოლოდ მყარი დისკი 1,5 ტერაბაიტის ტევადობის, ანტისტატიკური სამაჯური და ანტისტატიკური ხალიჩა რაც ბათუმში არ იშოვებოდა, თუმცა მოცემული მომენტისთვის დაწესებულებს შეძენილი ჰქონდა აღნიშნული ინვენტარი და წარმოადგინა სასაქონლო ზედნადები ასევე ანტისტატიკური სამაჯური და ანტისტატიკური ხალიჩა.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებდა დაწესებულება მოცემულ პროგრამებზე. რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ 50 სტუდენტის მიღება შეეძლო თუმცა დაწესებულებაზე იყო დამოკიდებული რამდენს მიიღებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ვებ ინტერფეისის დეველოპერზე სურდათ 30 სტუდენტის მიღება, ხოლო ბართენდერზე 40 სტუდენტის.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა რამდენი აუდიტორია იყო მზად სტუდენტების მისაღებად.

ექსპერტის განმარტებით, მინიმალური შესაძლებლობა იყო 50 სტუდენტი. თუმცა დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი ფართი და აღჭურვილობა A გარემოში 70 სტუდენტზე მეტის მიღებისა. მინიმალური რაოდენობა (50 სტუდენტი) გამოთვლილი იყო C გარემოს მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსისათვის" ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ბლექსის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბართენდერი	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112067)	70	III	40
2	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040165)	76	III	30

2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მადონა გოგობერიშვილმა, რომელმაც ისაუბრა იმ საგანმანათლებლო შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურდა დაწესებულებას:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბართენდერი	მესამე	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067	71
2	რესტორნის სერვის მენეჯერი	მეოთხე	რესტორნის სერვის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112066	109
3	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	124

4	ტუროპერატორი	მეხუთე	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	123
5	მეფუტკრე	მესამე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	84
6	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი	მესამე	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040567	70
7	ღონისძიების მენეჯერი	მეხუთე	ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020367	126
8	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	მეოთხე	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112064	107
9	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	მესამე	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040680	76

ექსპერტის თქმით, ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ზემოაღნიშნული 9 პროფესიული პროგრამა და ხარვეზები არ დაუფიქსირებია, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამები შესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე პროგრამის არჩევით მოდულებში მესამე უცხო ენის სახით შეტანილი იყო გერმანული ენა. ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათი განცხადებით, თანამშრომლობდნენ გერმანელ კოლეგებთან, ამდენად, საჭიროდ მიიჩნიეს ერთერთ არჩევით უცხო ენად გათალისწინებული ყოფილიყო სწორედ გერმანული ენა. ექსპერტმა ხაქზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა სტანდარტის დარღვევას.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტმა დადებითად შეაფასა აგრეთვე, დაწესებულების მატერიალური რესურსი, როგორც ფართი, აგრეთვე, პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად აუცილებელი სივრცე, ექსპერტთა ჯგუფმა, მისი თქმით, შეისწავლეს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, ის ხელშეკრულებებიც, რომლებიც ადასტურებდა, რომ სამომავლოდ დაწესებულების რესურსი კიდევ უფრო გამდიდრდებოდა.

1.1 დაწესებულებას პროგრამების მოდულებისათვის ჰქონდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტანდარტის შესაბამისად, დაკმაყოფილებული იყო A, B და C გარემოს მოდელების მოთხოვნები. ექსპერტმა განიხილა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბმისი რესურსი, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად. მისი თქმით, მოდელებში აღწერილი ტექნიკური აღჭურვილობა სრულად მოიცავდა ზოგად და პროფესიულ მოდულებში მოთხოვნილ მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას. ამასთან, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობები, ძირითადად შეესაბამებოდა ოთახებში რეალურად არსებულ აღჭურვილობას და ინვენტარს იმ გამონაკლისის გარდა, რაც დაწესებულებას სამომავლოდ უნდა მიეღო - 133256.28 ლარის ღირებულების 248 ერთეული. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი იყო თანხის ნაწილის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ნაწილს ელოდებოდა სსიპ „საგანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-დან, ამასთან, კოლეჯს უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეფუტკრეობის პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს საკუთრებაში ჰქონდა მცირე საფუტკრე მეურნეობა.

ექსპერტის თქმით, ვიზიტის მიმადინარეობისას აგრეთვე შეფასდა დაწესებულების ადამიანური რესურსი ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა და ექსპერტთაა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონია.

სხომის თავმდჯომარე დაინტერესდა, კონკრეტულად რომელ 248 ერთეულზე საუბრობდა ექსპერტი, დასკვნაში მითითებული იყო აღნიშნული ინფორმაცია, თუმცა, არ ირკვეოდა, 248 სახეობაზე იყო საუბარი თუ 248 ნივთზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთლოანობაში, აღნიშნული 248 ერთეული განკუთვნილი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცხრავე პროგრამისთვის, ექსპერტებმა შეისწავლეს ხელშეკრულებები და დააჯამეს მონაცემები, სწორედ ხელშეკრულებებში მითითებული ჩამონათვალების მიხედვით მოხდა რაოდენობის დათვლა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 9 პროგრამიდან რომელი იყო სრულად აღჭურვილი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სრულად აღჭურვილი გახლდათ რამდენიმე პროგრამა, კერძოდ: ბართენდერის, ტუროპერატორის, სასტუმროს საქმის სპეციალისტის და ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის პროგრამები სრულად იყო უზრუნველყოფილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, საბჭოს და დაინტერესებული პირების მაქსიმალურად ინფორმირების მიზნით, მომავალში სრულად აღენიშნათ დასკვნებში, თუ რომელი პროგრამები იყო სრულად აღჭურვილი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესახლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი ჰქონდათ მოქმედი პროგრამები, რომლის განხორციელების გამოცდილებაც გააჩნდათ. ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე გადაახალისეს და განაახლეს პროგრამების განსახორციელებლად აუცილებელი აღჭურვილობები. წარმომადგენლის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, მზად იყიო საბჭოსთის წარედგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა დაწესბეულების მიერ შესაბამისი მატერიალური რესურსის ფლობას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელიმე პროგრამა ხომ არ იყო დარჩენილი სათანადო აღჭურვილობის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავს გარემოებას ადგილი არ ჰქონდა და ყველაფერი სათანადოდ იყო მოწესრიგებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს პროგრამების მიხედვით დეტალურად ჩამოეთვალა რაოდენობები.

ექპერტმა განაცხადა რომ დაწესებულებას ადგიელბი ჰქონდა განსაზღვრული შემდეგნაირად: ტუროპერატორი 33, ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკ-შემკეთებელი 26, ღონისძიების მენეჯერი 28, სასტუმროს საქმის სპეციალისტი 70, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე 37, ბართენდერი 79, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი 32, რესტორნის სერვის მენეჯერი 57.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა სხდომის თავმჯდომარეს რომ მითითებული ციფრების ჯამი გახლდათ ის რაოდენობა რომელსაც ითხოვდა დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის" ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის" რესტორნის სერვისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის“ ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის“ მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის“ ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის“ ღონისძიებების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ სასტუმროს საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბართენდერი	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067	71	III	67
2	რესტორნის სერვის მენეჯერი	რესტორნის სერვის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112066	109	IV	47
3	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	124	V	32

4	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	123	V	33
5	მეფუტკრე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	84	III	26
6	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040567	70	III	26
7	ღონისძიების მენეჯერი	ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020367	126	V	28
8	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112064	107	IV	50
9	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040680	76	III	37

3. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა, რომელმაც ისაუბრა იმ საგანმანათლებლო შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურდა დაწესებულებას:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ფილამწყობი	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	85
2.	ზეინკალ-სანტექნიკოსი	მესამე	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	85
3.	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია 040160	78
4.	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია 040566	88

ექსპერტის თქმით, პროგრამები დამტკიცებული გახლდათ სათანადო წესით, ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამივე სტანდარტთან.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა უმნიშვნელო განსხვავება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროფესიულ საგანმანათლებლო ჩარჩო პროგრამის საფუძველზე შექმნილი პროგრამების კრედიტებს შორის, კერძოდ: დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოცულობა პროგრამისთვის ფილამწყობი გახლდათ 85 კრედიტი ნაცვლად 82 კრედიტისა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი გახლდათ 78 კრედიტი ნაცვლად 77 კრედიტისა, ხოლო დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი იყო 88 კრედიტი ნაცვლად 87 კრედიტისა. ექსპერტის თქმით, აღნიშნული მცირედი დასაშვები ცვლილებები განაპირობა დაწესებულების მიერ არჩევითი მოდულების შერჩევამ კონკრეტული პროგრამებისათვის, რაც არ იწვევდა სწავლის შედეგების ცვლილებას და ემსახურებოდა კვალიფიკაციის მინიჭებას.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ექსპეტრმა აღნიშნა, რომ კოლეჯს მიშენებული ჰქონდა ახალი ლიფტის უჯრედი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რომელიც ჯერ არ იყო დასრულებული, თუმცა, აღნიშნული გარემოება ხელს არ შეუშლიდა პროგრამების განხორციელებას. სამუშაოებს აწარმოებდა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, და მისი დასრულება იგეგმებოდა დადგენილ ვადებში. აღნიშნულის დადასტურება დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი დოკუმენტაციით.

ექსპერტის თქმით, მოდულებისათვის საჭირო ინვენტარი გახლდათ დასაწყობებული, ასევე მიიღო თანხა დაწესებულებამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაწესებულებას შესაბამისი პროგრამისათვის საჭირო ინვენტარი შეეძინა.

ექსპერტის თქმით რაიმე ტიპის ხარვეზს ვიზიტის მიმდინარეობისას ადგილი არ ჰქონია, ამასთან, მისი თქმით კოლეჯის ფუნქციონირება, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენდა.

ექსპერტის თქმით, შესაძლებელი იყო თითოეულ პროგრამაზე 24 სტუდენტი მიღება, 12-12 გადანაწილებით თითო ცვლაში, თავად მოდულიც და ფართიც იძლეოდა ამის საშუალებას. რაც შეეხებოდა ლიფტს, მის დასრულებამდე დაწესებულებას ჰქონდა პანდუსები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადასთვის" ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადასთვის" ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადასთვის" ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადას" (საიდენტიფიკაციო კოდი 242728679) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ფილამწყობი	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	85	III	24
2	ზეინკალ-სანტექნიკოსი	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	85	III	24
3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040160	78	III	24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადასთვის" დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ლაკადას" (საიდენტიფიკაციო კოდი 242728679) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040566	88	III

4. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი მიდინარეობდა თანამშრომლობით გარემოში, საგანმანათლებლო პროგრამებთან და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით დასკნაში შენიშვნები არ ყოფილა დაფიქსირებული. შორენა ჯაფარიძემ საბჭოს გააცნო ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა:

1. **მატერიალურ რესურებსთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით (შესყიდვების მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დირექტორი) გაირკვა, რომ პროგრამების მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური რესურსების ანალიზი, დადგინდა, რომ დაწესებულებას მფლობელობაში ჰქონდა მოდულებით განსაზღვრული ტექნიკური აღჭურვილობის უმეტესი ნაწილი, ვინაიდან ის ახორციელებდა ანალოგიურ საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ გამყიდველ-კონსულტანტი - 020255; ოფისის მენეჯერი(მდივან-რეფერენტი) - 020356; სარესტორნო საქმისმწარმოებელი - 112054; მეფილე-მომპირკეთებელი - 040654; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი - 080360. გამოკვეთილ იქნა დამატებით შესაძენი ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი და განისაზღვრა ღირებულება (სულ 25.201 ლარის ოდენობით).

1.2 ექსპერტებმა გადაამოწმეს მოდულებში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაადგინეს, რომ ვიზიტის პერიოდისთვის მიმდინარეობდა დამატებით შესაძენი ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვის პროცესი. კერძოდ, არსებობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს წერილი N 786628, რომელშიც მითითებული იყო, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ თანახმად დაწესებულებას ნებართვა მიეცა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო ინვენტარის, ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვა. დაწესებილებამ წარმოადგინა 2015 წლის 14 აგვისტოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსტან გაფორმებული N01/162-70 ხელშეკრულება, კოლეჯისთვის მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნით, საჭირო ხელსაწყოების და აღჭურვილობის შესაძენად 25 201,47 ლარის გამოყოფის შესახებ. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2015 წლის 14 აგვისტოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვების თაობაზე, რომელის მიხედვით შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო არა უგვიანეს 2015 წლის 27 სექტემბრისა.

1.3 დაწესებულების მატერიალური რესურსის გადამოწმებისას ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე მოდულში განხორციელების ადგილი მითითებული არ იყო, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ადგილები რეალურად განსაზღვრული იყო, რაც ასევე დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებით. ექსპერტების აზრით აღნიშნული ფაქტი შეიძლებოდა ჩათვლილიყო ტექნიკურ უზუსტობად.

1.4 ექსპერტებმა ასევე დააფიქსირეს, რომ გაუთვალისწინებელი სიტუაციის შედეგად (სახურავის შეკეთების აუცილებლობა), მოდულებში მითითებულ 2 სახელოსნოში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნული სამუშაოები სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა სარემონტო ფართთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ სწავლის დაწყებამდე ორი ლაბორატორიის სარემონტო სამუშაოების დამთავრება ვერ მოხერხდებოდა, საგნობრივ პროგრამებს გამოიტანდნენ და ამ რეჟიმში განახორციელებდნენ სწავლებას.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ჯაყელი, დაინტერესდა, თუ რომელი პროგრამების სასწავლო ფართი იყო სარემონტო და გარდა ამ ხარვეზისა, იყო თუ არა სხვა სახის პრობლემები, რაზეც ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ სხვა ხარვეზი არ ფიქსირდებოდა. ინვენტარის ნაწილი უკვე შეძენილი იყო, ნაწილის შესყიდვასთან დაკავშირებით, კი ხელშეკრულებები იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ ინვენტარების შემოტანა ვიზიტის პერიოდშიც ხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა დაამატა, რომ სახურავის შეკეთებასთან დაკავშირებული პრობლემა ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა გეგმიურ პრობლემად, რადგანაც ამ ფაქტს შეიძლებოდა ნებისმიერ დაწესებულებასთან მიმართებაში ეჩინა თავი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველწლიურად მიმდინარეობდა ინვენტარის განახლება არა მხოლოდ მოდულური პროგრამებისთვის, არამედ ზოგადადაც. ასევე, დაამატა, რომ ეს არ იყო ახალი ინვენტარის შეძენა, ეს იყო ძველის ახლით ჩანაცვლება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა შეიძინა დაწესებულებამ გამარტივებული წესით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეიძინეს ფოტო აპარატი და ლაზერის აპარატი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტრესდა თუ რა ოდენობის თანხა ჰქონდა ათვისებული დაწესებულებას მთლიანი 25 000-დან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 15 000 ლარი უკვე ათვისებული ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ შესყიდვებთან დაკავშირებით არსებობდა ეს პრობლემა. ამ გზით დაწესებულებას თადარიგი ჰქონდა დაჭერილი. იმ შემთხვევაში, თუ სასწრაფოდ დასჭირდებოდა რაიმე სახის შესყიდვის განხორციელება, ტენდერისა და გართულებული პროცესებისთვის თავის ასარიდებლად. საბჭოს წევრი დაინტერესდა, 25 000-დან ნაშთის 10 000 -ის უკან დაბრუნებას აპირებდნენ თუ არა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ თანხის ეტაპობრივად ათვისებას აპირებდნენ. ასევე, დაამატა, რომ ისინი ხარისხზე იყვნენ ორიენტირებულნი და არ ჩქარობდნენ.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შეძენილი გარკვეული ოდენობის ინვენტარი, იყო თუ არა ეს რაოდენობა საკმარისი პროგრამების განსახორციელებლად.

ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ რესურსი შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს და შესაძლებელი იყო პროგრამების განხორციელება.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, თუ რომელი პროგრამების ინვენტარი იყო სრულყოფილად აღჭურვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა პროგრამა სრულყოფილად იყო აღჭურვილი, სხვადასხვა პროგრამებზე იყო გარკვეული ინვენტარი შესასყიდი. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გამოთქმული მოსაზრების მართებულობა ექსპერტმაც დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოედგინათ სავალდებულო ნივთების ნუსხა არსებობდა თუ არა დაწესებულებაში.

14:23 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 14:58 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისთვის" ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი -0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისთვის" სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისთვის" ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020365	115	IV	15
2	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	94	III	30
3	ფილამწყობი	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	85	III	15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისთვის“ კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისთვის“ რესტორნის სერვის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	კონსულტანტ-გამყიდველი	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - 020256	70	III
2	რესტორნის სერვის მენეჯერი	რესტორნის სერვის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - 112066	109	IV

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაურკვეველი სიტუაცია იყო, რადგანაც ვერ ადასტურებდნენ საკმარისი ინვენტარის არსებობას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარი გააჩნდათ და ამის დადასტურება მონიტორინგის გადამოწმების გზით შეიძლებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ ენდობოდნენ ექსპერტთა მოსაზრებებს, რის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა მოდულურისთვის დამატებით ინვენტარის შესყიდვას და ფაქტი ის იყო, რომ დაწესებულებას გააჩნდა საკმარისი ინვენტარი საგნობრივი პროგრამებისთვის, მაგრამ არ გააჩნდა საკმარისი ინვენტარი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მოითხოვეს ძველი ინვენტარის ახლით ჩანაცვლება და არა იმიტომ, რომ არ ჰქონდათ საკმარისი ინვენტარი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის ხელმძღვანელობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, რაზეც ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული იყო ინვენტარის ძირითადი ნაწილის არსებობის შესახებ და არა მთლიანად. ექსპერტის აზრით, დაწესებულებას გააჩნდა ამ პროგრამების განხორციელების რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, იღებდა თუ არა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკუთარ თავზე იღებდა პასუხისმგებლობას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას თავისი მიზნები ჰქონდა და ეს მომავალი განვითარებისთვის იყო გამიზნული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ ისინი დოკუმენტზე დაყრდნობით იღებდნენ გადაწყვეტილებას და დაწესებულებას სთხოვა შემდგომში სრულად წარმოედგინათ დოკუმენტაცია.

5.სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა - შორენა ჯაფარიძემ და დარეჯან ლოსაბერიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის განმავლობაში გადაამოწმეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10 პროგრამა, ასევე, ამ პროგრამებიდან გამომდინარე, მატერიალური და ადამიანური რესურსი. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომ განათლების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას მფლობელობაში ჰქონდა მოდულებით განსაზღვრული ტექნიკური აღჭურვილობის უმეტესი ნაწილი, ვინაიდან ის ახორციელებდა ანალოგიურ საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულება საჭიროებდა დამატებით ტექნიკურ რესურს. ექსპერტის თქმით, ტენდერების საფუძველზე შესაძენი ინვენტარის ნაწილი დაწესებულებაში ვიზიტის დროს უკვე ადგილზე იყო, ხოლო მეორე ნაწილის შესყიდვის და მიწოდების პროცესი დასრულებული არ იყო.

ექსპერტებს თან ჰქონდათ ტენდერების დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. მათი განცხადებით, ვინაიდან დაწესებულებას ჰქონდა ამის საშუალება, თითოეული მოდულური პროგრამისთვის გამოყოფილი იყო ცალკე ფართი, ასევე, თითოეულ პროგრამას მოემსახურებოდა 10, 12, ან 13 მასწავლებელი. დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 312-ს, ხოლო პროფესიული სწავლების მასწავლებელთა რაოდენობა - 52-ს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტთა ვიზიტის დასრულებული იყო თუ არა მიმდინარე მატერიალური რესურსის შესყიდვის პროცესი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ უკვე გადაეცათ 107 კომპიუტერი, თუმცა მანამდე არესებული რესურსიც საკმარისი იყო ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. მან აღნიშნა, რომ ტენდერებით მიიღეს დამატებითი რესურსები, რომელსაც საწყობში ინახავდნენ, რათა შემდგომში, მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, გამოეყენებინათ. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიულ პროგრამაზე დამატებითი რესურსების გარკვეულ ნაწილის საქართველოში ჩამოტანას კი 10 ოქტომბრისთვის ელოდებოდნენ.

ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2013 წელს და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვრა 620 მოსწავლით. შესაბამისად, არანაირი საჭიროება არ არსებობდა იმისა, რომ დაწესებულებას დაემატებინა ფართი, თუმცა კოლეჯმა განახორციელა ეს ქმედება, უფრო მეტი განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯი 10 ოქტომბერს ელოდებოდა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიულ

პროგრამისთვის მატერიალური რესურსის გარკვეული ნაწილის ჩამოტანას საქართველოში. ქეთევან ჯაყელი დაინტერესდა, რა სიტუაცია იყო ამ მხრივ დანარჩენ პროგრამებზე. რაზეც, ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის პროგრამაზე ორი ნივთის მიწოდების ვალდებულება ჰქონდა სატენდერო კომპანიას, სხვა ყველა საჭირო ნივთით კი პროგრამები სრულად იყო აღჭურვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებთან კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ორი პროგრამის - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის და რომ მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის - გარდა, სხვა პროგრამები სრულად იყო აღჭურვილი მატერიალური რესურსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითო საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულიყო შემდეგნაირად: ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 30, ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 40, ვებ-პროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 28, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 56, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 56, მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 20, მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 40, საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 28, სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 28, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 30 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ ვებ-პროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი:200279448) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბუღალტერი	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	127	V	80
2	ვებ პროგრამისტი	ვებ პროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040167	138	V	28
3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040160	79	III	56
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	132	V	56
5	მოლარე	მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020154	72.5	III	40

6	ბანკის მოლარე-ოპერატორი	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020455	82	III	40
7	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040163	84	III	28
8	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	148	IV	28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 2002779448) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი	მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040355	71	III
2	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	90	III

6. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ. ექსპერტმა ისაუბრა იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურდა დაწესებულებას:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიულივალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მასაჟისტ-რეაბილიტატორი	V	მასაჟისტ-რეაბილიტატორის საფეხურის პროფესიული მეხუთე კვალიფიკაცია 090656	123
2	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	IV	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070355	120

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დარგლებში შემოწმდა დაწესებულების რესურსები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფს რამდენიმე ტიპის შენიშვნა ჰქონდა:

პროგრამები შეესაბამებოდა ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებს, თუმცა დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობები, რაც ვიზიტის მიმდინარეობისას გამოსწორდა. ასევე მცირედით შეუსაბამობა იყო წიგნადი ფონდის შემთხვევაში, განსხვავდებოდა ჩარჩო დოკუმენტებისგან.

დაწესებულების აღჭურვილობა, საჭირო აუდიტორიები ექსპერტებმა დაათვალიერეს ვიზიტის პერიოდში. დაწესებულება ასევე ფლობდა ინვენტარის ნაწილს, თუმცა, ნაწილის ფლობა ვიზიტის მიმდინარეობისას არ დადასტურდა, დაწესებულება აწარმოებდა მოლაპარაკებას ინვენტარის შევსების მიზნით. ვიზტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სპორტის და ახალგაზრულ საქმეთა სამინისტროსთან მიმოწერა, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ დაწესებულება

სთხოვდა საჭირო ინვენტარს უწყებას და მიიღეს დასტური, რომ შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ პირველი სექტემბრისთვის.

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს შეისწავლეს დაწესებულების ადამიანური რესურსის პირადი საქმეები, როგორც აღმოჩნდა, ხელშეკრულებების ნაწილი ვადაგასული იყო და ვიზიტის დროს მოხდა მათი განახლება.

ექსპერტის თქმით, თუ ზემოთ აღნიშნული საკითხები გამოსწორდებოდა სამომავლოდ, დაწესებულება შეძლებდა რეპორტიორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 21 (ორ ცვლაში), ხოლო მასაჟისტის პროგრამაზე (ცვლების მიხედვით ჯამურად) 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, მისი თქმით, წარმოდგენილი დასკვნა დაწერილი იყო ისე, რომ საბჭოს სრული წარმოდგენა შეუქმნა დაწესებულებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა გზით ჰქონდათ მოპოვებული ინვენტარი, მათი ნაწილი ჩუქების გზით ჰქონდათ მიღებული, ნაწილი - შესყიდვით. აკლდათ ორი სახეობა: პრესის სამასაჟო აპარატი, დაახლოებით 3000-4000 ლარის ღირებულების და და ამასთან, საჭირო იყო მისი გამოწერა საზღვარგარეთიდან. დაწესებულებას ამ ეტაპზე, გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სარეაბილიტაციო ცენტრ რეასთან, რომელიც ფლობდა შესაბამის ინვენტარს. ასევე ესაჭიროებოდათ სპეციალური ნიღაბი, უახლოეს პერიოდში უკვე მათ მფლობელობაში იქნებოდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, სტანდარტით თუ მოეთხოვებოდათ აღნიშნული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტანდარტი მოითხოვდა შესაბამის ინვენტარს, თუმცა, რადგან პრაქტიკის ობიექტს შეეძლო პროგრამის ამ მხრივ უზრუნველყოფა, აღარ იყო აუცილებელი დაწესებულებას საკუთრებაშიც ჰქონოდა ზემოაღნიშნული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, თუ დაადასტურებდა აღნიშნულ ინფომაციას. ექსპერტის თქმით, აპარატი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო C გარემოში, ამდენად, პრაქტიკის ობიექტი მას ვერ შეცვლიდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, ადამიანურ რესურსთან გაფორმებული იყო თუ არა ხელშეკრულებები.

დაწესებეულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ყველასთან გაფორმებული იყო. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებელო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი:202949159) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070355	120	IV	21

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის მასაჟისტ რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:202949159) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	მასაჟისტ-რეაბილიტატორი	მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090656	123	V

7. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ელენე გვენცაძემ და მარინა გოგოლაძემ. ექსპეტრმა ისაუბრა იმ საგანმანათლებლო შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურდა დაწესებულებას:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	თმის სტილისტი	მესამე	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	75
2	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	88
3	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90

ექსპერტის თქმით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კოლეჯის მიერ წარმოდგენილ თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროგრამის მოდულების თავფურცელზე (გაცნობითი პრაქტიკა, მამაკაცის თმის შეჭრა, პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა, ქალის თმის შეჭრა, ჰიგიენა და სანიტარია, სამუშაო ადგილის ორგანიზება) ნაცვლად სავალდებულო სტატუსისა დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა და მითითებული იყო არჩევითი, რაც ვიზიტის მიმდინარეობისას გასწორდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განხორციელების გამოცდილება, ამჯერად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე განახლებული პროგრამები იყო წარმოდგენილი.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.2 ექსპერტის თქმით, ვიზიტის მიმდინარეობისას თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით იქნა შემოწმებული დაწესებულების მატერიალური რესურსი, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტები, ხელშეკრულებები, ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა შესაბამისი მატერიალური რესურსის ფლობას. აგრეთვე იყო რესურსის მცირე ნაწილი, რომელსაც ჩარჩო დოკუმენტი მოითხოვდა და ვიზიტის დროს დაწესებუელბას არ დაუდასტურდა, თუმცა, დღესათვის წარმოდგენილი ჰქონდათ მიღება-ჩაბარების აქტები, რაც ადასტურებდა მატერიალური რესურსის სრულად ფლობას. ექსპერტმა დადებითად შეაფასა დაწესებულების შენობა, რომელიც მისი თქმით, სათანადოდ იყო აღჭურვილი და მოწყობილი, ასევე, მიმდინარეობდა ლიფტის მონტაჟი და სასწავლო წლის დაწყებისთვის უკვე გამართულად იფუქნციონირებდა. დაწესებულებას ასევე ჰქონდა დაწესებულებას პანდუსიც.

ექსპერტმა ასევე დაადასტურა დაწესებულების ადამიანური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობა, დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულებები, მათი ნაწილი მოქმედი იყო, ზოგიერთი მათგანი კი - პირობითი და სამომავლო ურთერთბებზე იყო გათვლილი. დაწესებულებას აგრეთვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ დაწესებულებებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურდა თითოეული პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო შემდეგნაირად: თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -42, დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 30, სამკერვალო ნაწარმის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 26.

თავმჯდომარე დაინტერესდა, წარმოდგენილი პროგრამებიდან რომელიმე თუ იყო სრულად აღჭურვილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თმის სტილისტისთვის აკლდათ ინვენტარი, კერძოდ, თმის ფენები, ხოლო ინვენტარის დანარჩენი ნაწილი სრულყოფილად იყო წარმოდგენილი. დღეისათვის დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, სად უნდა განხორციელებულიყო პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ახალციხეში მრავლდა იყო სალონები, სამკერვალო საწარმოები, ასევე თანამშრომლობდნენ კომპანია - ენერგო პრო ჯორჯიასთან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასევე იღებდნენ დაფინანსებას ქალაქის მერიისგან და ჰყავდათ სტიპენდიანტები, პროგრამის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები, ამ ეტაპზე, მათი ერთი სტუდენტი ჩინეთში იმჯყოფებოდა, ხოლო სამ სტუდენტს გაეროს განვითარების პროგრამის ფარლებში მოპოვებული ჰქონდა გრანტი, თანამშრომლობდნენ დამსაქმებელთა ასოციაციასთანაც.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ ეთანხმებოდნენ ექსპერტის მიერ დასახელებულ სტუდენტთა კვოტას. დაწესებუელების წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 224066980) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	თმის სტილისტი	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	75	III	42
2	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	88	III	30
3	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	90	III	26

8. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა მარინა გოგოლაძემ და ელენე გვენცაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში არსებითი ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა. მათ აღნიშნეს, რომ დაფიქსირდა კონრეტული სახის უზუსტობები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 კოლეჯის მიერ 2015 წლის 19 აგვისტოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილ იქნა თვითშეფასების ანგარიში 5 დასამატებელ მოდულურ პროგრამასთან ერთად. მათგან ორ პროგრამაში (მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი და ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი) მექანიკურად გამორჩენილ იქნა ორი სავალდებულო მოდული (პრაქტიკული პროექტი ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლისათვის და პრაქტიკული პროექტი მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსისათვის). ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა აღნიშნული პროგრამების სრული პაკეტი.

1.2 მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის პროგრამის ოთხ სავალდებულო პროფესიულ მოდულში (ტესტირება კვების წყაროზე, ტესტირება პროგრამულ ფუნქციონალობაზე, ფიზიკური (ელექტრომექანიკური) დაზიანების აღმოფხვრა და შრომის უსაფრთხოება მობილურ კომუნიკაციებში) 3.2 (მოდულის განხორციელების მიდგომები) და 3.4. (სასწავლო გარემოს მოდელი) პუნქტებში დაშვებული იყო უზუსტობა, რაც გასწორებული იქნა ვიზიტის პერიოდში. ორ პროგრამის (მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი, ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი) ორ მოდულში არ იყო დაკონკრეტებული უცხოური ენა. ვიზიტის დროს უცხოურ ენად მიეთითა - ინგლისური ენა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი რომლის დამატებაც სურდა დაწესებულებას:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	III	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	87
2	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი	III	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს – შემკეთებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70
3	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	III	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	77
4	მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი	III	მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	71
5	ზეინკალ-სანტექნიკოსი	III	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	86

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილი პროგრამებიდან დაწესებულება ახორციელებდა ოთხ მათგანს როგორც საგნობრივს. აქედან ახალი მხოლოდ მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იყო. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ზეინკალ სანტექნიკოსისა და თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სრულად იყო აღჭურვილი მატერიალური რესურსით. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობისა და ინვენტარისა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულება #01/162-74 (13.08.2015წ) მოხდა კოლეჯის დაფინანსება ინვენტარის შესაძენად. ასევე გაფორმებული იყო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები. მათ დაამატეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეძენილი, შევსებული და განთავსებული იქნებოდა მოდულური პროგრამებისთვის საჭირო აღჭურვილობა, ინვენტარი და მასალები.

ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ დანარჩენ პროგრამების აღჭურვა მიმდინარეობდა და გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები. კერძოდ, მან მიუთითა დასკვნაში დაფიქსირებულ ხელშეკრულებაზე.

ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ ადამიანური რესურსი შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითო საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულიყო შემდეგნაირად: დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი - 30, ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი - 24, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე - 30, ზეინკალ სანტექნიკოსი - 30.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ მოდუსისათვის თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის" ზეინკალ სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	87	III	30

2	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს – შემკეთებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040567	70	III	24
3	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040680	77	III	30
4	ზეინკალ სანტექნიკოსი	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	86	III	30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი	მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040355	71	III

დღის წერიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადაა 18:00 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე